ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

სოფელ მთისპირის მაჟორიტარი დეპუტატის

ვლადიმერ ჩავლეშვილის

ანგარიში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის თანახმად ვალდებული ვარ წარმოგიდგინოთ ანგარიში 2016 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ.

2016 წელს მონაწილეობა მაქვს მიღებული საკრებულოს, როგორც გეგმიურ ასევე რიგგარეშე სხდომებში,რომელზეც მიღებული იქნა 73 განკარგულება და დამტკიცდა 28 დადგენილება.

მოგახსენებთ, რომ გახლავარ ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიულული საქართველოს", ასევე აგრარულ საკითხთა,ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიების წევრი. ვესწრებოდი და აქტიურად ვღებულობდი მონაწილეობას აღნიშნული ფრაქციისა და კომისიების სხდომებში, რომლებზეც ვიხილავდით საკრებულოს სხდომაზე გასატან საკითხებს და ვიღებდით მნიშვნელოვან რეკომენდაციებსა და დასკვნებს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

2016 წელს რეგლამენტით გათვალისწინებული რაოდენობით ჩატარებული მაქვს ამომრჩევლებთან შეხვედრა და მიღება. შეხვედრების პერიოდში მოსახლეობასთან ერთად განხილული იქნა როგორც პირადი, ასევე სოფლის პრობლემატური საკითხები.მათ შორის განსაკუთრებით გამოვყოფდი სოციალურ და ჟანდაცვის საკითხს; სოფლის რელიეფიდან გამომდინარე, სტიქიისა და მეწყერის შედეგად დაზიანებული სახლებისა და საკარმიდამო ნაკვეთების საკითხს; მუნიციპალურ ცენტრთან დამაკავშირებელი და სასოფლო შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციის საკითხს; სოფლის ყველა უბანში გარე განათების მოწყობა და ა.შ.

2016 წელს მე როგორც სოფელ მთისპირის მაჟორიტარმა დეპუტატმა ოზურგეთის გამგეობასთან და სხვა რიგ სამსახურებთან ერთად შევძელი გარკვეული პრობლემების მოგვარება.

გადაუდებელი ოპერაციის და მკურნალობისთვის გამგებლის სარეზერვო ფონიდან დაფინანსდა 5 პიროვნება 2800 ლარით, პროგრამით გათვალისწინებული მედიკამენტური და ამბოლატორიული დახმარება გაეწია 28 ადამიანს 4301 ლარის ოდენობით.

სტიქიიდან მიყენებული ზიანის შედეგად საცხოვრებელი სახლის თუნუქის სახურავი და ხის მასალა გადაეცა 2 ოჯახს.

დახმარება გაეწია ერთ უსახლკარო ოჯახს, რომლის უზრუნველყოფაც მოხდა საცხოვრისით სოფელ მერიაში ახალ გარემონტებულ კორპუსში.

სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში რომლის ღირებულება შეადგენდა 29092 ლარს 2016 წელს სოფლის ნაწილობრივ ტერიტორიაზე მოეწყო გარე განათება; სოფლის ამბოლატორიისთვის მოხდა ავეჯის შეძენა.

სოფლის ტერიტორიაზე დაიწყო განხორციელება უმნიშვნელოვანესმა პროექტმა, რომელიც გზას შეეხება (ცენტრიდან მოეწყო ასფალტის საფარი 910 მეტრის ოდენობით მთისპირი-ფამფალეთი-ვაკიჯვრის მიმართულებით) რომელიც არის გარდამავალი პროექტი და დასრულდება 2017 წელს ოზურგეთი-ვაკიჯვრის ასფალტირებულ გზასთან შეერთებით.

დაგეგმილია ასევე მთისპირი-მშვიდობაური-ბახვის გზის პროექტირება.

ინერტული მასალით დაიხრეშა სოფლის შიდა საუბნო გზების გარკვეული ნაწილი, თუმცა დარჩა რამოდენიმე უბანი,რომლის რეაბილიტაციაც 2017 წლის განმავლობაში აუცილებლად მოხდება.

ისეთი სოფელი, როგორიცაა მთისპირი, იმედს გამოვთქვამ, რომ საკანონმდებლო ორგანო, აღმასრულებელი ხელისუფლება და მოსახლეობა უფრო მეტ ყურადღებას გამოვიჩენთ და ერთიანი ძალისხევით მეტ ინფრასტრუქურულ და სოციალურ პროექტებს განვახორციელებთ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

წევრი: /ვ. ჩავლეშვილი/

20.02.2017